დანართი №2

სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის წესი და ვადები

მუხლი 1. სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის წესი

1. ამ დანართის ფორმა №2 ივსება სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის, აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით გაცემული ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ.
2. ამ დანართის ფორმა №2 ივსება ლიცენზიით განსაზღვრული სარგებლობის შედეგად მიღებული მონაცემებისა და გაანგარიშებების შესაბამისად.
3. ამ დანართის ფორმაში და ცხრილებში მონაცემები აისახება სათანადო გრაფების მაჩვენებლების დასახელების შესაბამისად.
4. თუ შესაბამისი მონაცემების რაოდენობა აღემატება გრაფების რაოდენობას, მაშინ შესაძლებელია ინფორმაცია წარმოდგენილი იქნეს დანართის სახით, რაც აღინიშნება შესაბამისი „შესრულების მდგომარეობის“ გრაფაში.
5. თუ ლიცენზიის მფლობელი ჩათვლის, რომ მის მიერ წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას, ის ვალდებულია ინფორმაციის წარდგენისას იხელმძღვანელოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2. სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადები

ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას. ანგარიშგება ხდება ლიცენზიის გამცემისთვის წერილობით წარდგენით. ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ლიცენზიას მიიღებს საანგარიშგებო პერიოდის დაწყებამდე 6 თვის განმავლობაში, ვალდებული არ არის ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს ანგარიშგება.

ფორმა № 2

სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ანგარიში

1. ლიცენზიის მფლობელი _____

2. საიდენტიფიკაციო კოდი _____

3. ლიცენზიის მფლობელის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა) _____

_____

4. ლიცენზიის ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა _____

5. ლიცენზიით გათვალისწინებული ფართობის ადგილმდებარეობა _____

_____

6. ლიცენზიით გათვალისწინებული ობიექტის ფართობი _____

7. სამონადირეო მეურნეობის მართვის გეგმის დამტკიცების თარიღი, ბრძანების ნომერი, ინფორმაცია მართვის გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ _____

8. საანგარიშგებო პერიოდი 20____ წლის ____ იანვრიდან 20_____წლის ____იანვრამდე.

--- ---

ლიცენზიატის სახელი, გვარი ხელმოწერა

(იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება) ბ.ა.

№	სალიცენზიო პირობა	შესრულების მდგომარეობა	შენიშვნა
1	ზოგადი ინფორმაცია		
1.1	ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების თარიღები თითოეული კვარტლის მიხედვით, მათ შორის საანგარიშო წელს მომხდარი ცვლილებები (სატყეო უბანი, სატყეო, კვარტალი, ლიტერი - რიცხვი, თვე, წელი)		
1.2	ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის მოსარგებლე, სხვა მოსარგებლე და ძირითადი გამოყენების მიზანი (სატყეო-სამეურნეო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა)		
2	ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის დაცვის შესახებ ინფორმაცია		
2.1	მონაცემები ტყის მცველების შესახებ (ივსება ცხრილი N1)		
2.2	საანგარიშო პერიოდში ლიცენზირებულ ობიექტზე ლიცენზიის მფლობელის მიერ საკუთარი ძალებით გამოვლენილი სამართალდარღვევის ფაქტები და გატარებული ღონისძიებები (თითოეული დარღვევის არსი, გამოვლენის თარიღი, შეტყობინების ადრესატი)		

2.3	ტყის მავნებელ-დავადებების და ხანძრისაგან დაცვის მიზნით გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი, ამ კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები (მოკლე აღწერა მავნებელ-დაავადებების სახეობების, სატყეო უბნის, სატყეოს, კვარტლის, ლიტერის და ფართობების მითითებით)		
2.4	მავნებელ-დაავადებების ახალწარმოქმნილი კერების კვლევის შედეგები სახეობების მითითებით (მოკლე აღწერა, სატყეო უბნის, სატყეოს, კვარტლის, ლიტერის, GPS კოორდინატებისა და ფართობების მითითებით)		
2.5	ტყის ხანძრის გამოვლენისა და შემდგომი რეაგირების შესახებ ინფორმაცია, ნახანძრალი ფართობი (მ^2) (მოკლე აღწერა მიყენებული ზიანი, სახეობა, მოცულობა და ა.შ.)		
2.6	ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ბუნებრივად არსებული გარეული ცხოველების დაცვის მიზნით განხორციელებული სამუშაოთა ჩამონათვალი (მოკლე აღწერა)		

3	**ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მონაცემების შესახებ**		
3.1	ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მონაცემები (სახეობის ქართული და ლათინური დასახელება, რაოდენობა) მათ შორის. საქართველოს „წითელ ნუსხაში" შეტანილი ცხოველთა სამყაროს ობიექტები (სახეობის ქართული და ლათინური დასახელება, რაოდენობა)		
3.2	ცხოველთა სამყაროს ობიექტების რიცხოვნობის მდგომარეობის შეფასება, რიცხოვნობის მონაცემები დინამიკაში წინა წლების (ბოლო 3 წლის) მონაცემებთან შედარებით (შესაბამის მაჩვენებლებში)		
3.3	ტერიტორიის სავარგულებში ცხოველთა სამყაროს ობიექტების დასახლების ფაქტიური სიმჭიდროვე (რაოდ/1 კმ^2; (100 ჰა-ზე))		
3.4	ტერიტორიის სავარგულებში ცხოველთა სამყაროს ობიექტების მართვის გეგმით განსაზღვრული პოტენციალური ოპტიმალური დასახლების სიმჭიდროვე და რიცხოვნობა (შესაბამის მაჩვენებლებში)		

4	**ინფორმაცია სანგარიშო პერიოდში ცხოველთა სამყაროს ობიექტების სარგებლობისათვის დაშვებული კვოტებისა და ფაქტიური მოპოვების შესახებ**		
4.1	საანგარიშო პერიოდში სარგებლობისათვის დაშვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვების წლიური კვოტები, კვოტის დამტკიცების შესახებ ბრძანების თარიღი და ნომერი (სახეობის ქართული და ლათინური დასახელება, რაოდენობა)		
4.2	საანგარიშო პერიოდში ფაქტიურად მოპოვებული ცხოველთა სამყაროს ობიექტები (სახეობის ქართული და ლათინური დასახელება, რაოდენობა)		
5	**ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში სალიცენზიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ**		
5.1	ინფორმაცია ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული მაღალი კონსერვაციული ღირებულების მქონე ტყეების შესახებ, მათ დასაცავად გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი (მოკლე აღწერა)		
5.2	ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ცხოველთა სახეობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საბინადრო გარემოს დაცვის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები (მოკლე აღწერა)		

5.3	ლიცენზირებულ ტერიტორიაზე არსებული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაცვის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები (მოკლე აღწერა)		
5.4	ინფორმაცია ტყის მოვლის ღონისძიებების, მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ (მათ შორის სახელმწიფო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმების შესახებ) სატყეო უბნის, სატყეოს, კვარტლის, ლიტერის და ფართობების მითითებით		
6	**ინფორმაცია სავარგულების ბიოტექნიკური და ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ**		
6.1	ინფორმაცია შიდა ტერიტორიული სამეურნეო ერთეულების (მათ შორის: სანადირო უბანი, აღკვეთილი, აღწარმოების უბანი, ნადირ-ფრინველის საშენი და სხვა) შესახებ, თითოეულის ადგილმდებარეობა, მიზანდანიშნულება, ფართობი (მოკლე აღწერა)		
6.2	სავარგულების საბინადრო ხარისხის ამაღლების ღონისძიებები, ცხოველთა სამყაროს ობიექტების თავშესაფრის, კვების, ბუდობის, ნამატის გამოზრდის, განსახლების პირობების ხელშემწყობი ღონისძიებები		

6.3	სავარგულების ბიოტექნიკური კეთილმოწყობის ღონისძიებები (მოკლე აღწერა)		
6.4	ინფორმაცია ცხოველთა სამყაროს ობიექტების ხელოვნური მოშენების, სხვა ტერიტორიებიდან შემოყვანის და განსახლების შესახებ (მოკლე აღწერა)		
6.5	მტაცებლების და კონკურენტი ინვაზიური სახეობების რიცხოვნობის რეგულირება (მოკლე აღწერა)		
6.6	ინფორმაცია ტერიტორიის ზონირების, გამიჯვნის შესახებ, შიდა და გარე საზღვრების მარკირების შესახებ (მოკლე აღწერა)		

6.7	ინფორმაცია ლიცენზირებულ ფართობზე არსებული ან ლიცენზიანტის მიერ მოწყობილი ინფრასტრუქტურის შესახებ (გზები, ბილიკები, სასტუმრო, დასვენების პუნქტები, შენობა-ნაგებობები და სხვა)		
6.8	შიდა საკომუნიკაციო და სათვალთვალო სისტემები (მოკლე აღწერა)		

ცხრილი 1

ტყის მცველების შესახებ ინფორმაცია							
№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი	მუშაობის დაწყების თარიღი	ტყის მცველზე დამაგრებული სატყეო უბანი, კვარტლები,	ტყის მცველზე დამაგრებული კვარტლების საერთო ფართობი (ჰა)	შენიშვნა
1							
2							
3							
4							
5							
6							
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							
16							
17							
18							
19							
20							